

პრაგმატული ენის განვითარების თავისებურებები აუტიზმის სპექტრის
აშლილობის დროს

გულნარა მერებაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

სარჩევი

აბსტრაქტი.....	3
Abstract.....	4
შესავალი.....	5
თავი I - ლიტერატურული მიმოხილვა.....	6
აუტიზმის სპექტრის აშლილობა.....	6
პრაგმატული ენა.....	8
პრაგმატული ენის თეორიული განმარტება.....	12
პრაგმატული ენა და სოციალური კოგნიცია ტიპურ განვითარებაში.....	15
გონების თეორია და ენის/კომუნიკაციის დეფიციტი აუტიზმის დროს.....	16
სოციალური (პრაგმატული) კომუნიკაციის დარღვევა DSM – V-ის მიხედვით.....	19
პრაგმატული ენის გამოყოფა აუტიზმის სპექტრის აშლილობიდან.....	20
თავი II - კვლევის მეთოდოლოგია.....	22
საკვლევი საკითხი.....	22
საკვლევი ჯგუფი.....	22
კვლევის დიზაინი.....	22
კვლევის ჰიპოთეზა.....	22

საკვლევი ინსტრუმენტი.....	22
კვლევის მიზნები.....	23
კვლევის ეტაპები.....	23
თავი III - მონაცემთა ანალიზი.....	24
შედეგების ინტერპრეტაცია და დისკუსია.....	25
თავი IV - დასკვნა.....	27
კვლევის შეზღუდვები.....	27
გამოყენებული ლიტერატურა.....	28
დანართი.....	31
ცხრილების ჩამონათვალი	
ცხრილი #1.....	24

აბსტრაქტი

პრაგმატული ენა, ეს არის ენის გამოყენება სოციალური კონტექსტის შესაბამისად, პრაგმატული ენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რადგან მას უწევს ურთიერთობების ჩამოყალიბება, სხვისი აზრის გათავალისწინება და ენის ისეთი სპეციფიკური უნარების გამოყენება რასაც პრაგმატიკა განსაზღვრავს. ამიტომ, მნიშვნელოვანია ადამიანებს ვისაც გააჩნიათ პრაგმატული ენის დეფიციტი, მოხდეს პრობლემის დროული იდენტიფიცირება და მის განვითარებაზე მუშაობა. მოცემული კვლევა აღწერს პრაგმატული ენის განვითარებას აუტიზმის მქონე ბავშვებში და ერთმანეთს ადარებს პრაგმატული ენის განვითარებას მაღალფუნქციურ აუტიზმის მქონე ინდივიდებსა და ტიპური განვითარების ბავშვებს შორის. კვლევა ჩატარდა ორიონის პრაგმატული ენის კითხვარის მეშვეობით, ცდისპირთა რაოდენობა შეადგენდა 20 - ს, აქედან 10 იყო ტიპური განვითარების და 10 მაღალფუნქციური აუტიზმის მქონე ბავშვი. მონაცემების დამუშავების შედეგად აღმოჩნდა მიშვნელოვანი განსხვავებები პრაგმატული ენის განვითარების 7 - დან ექვს სფეროში, ვინაიდან კვლევა ჩატარდა მცირე პოპულაციაზე მის განზოგადებას ვერ შევძლებთ ფართო მასშტაბებზე, თუმცა კვლევის შედეგად მივიღეთ მნიშვნელოვანი და საინტერესო შედეგები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აუტიზმის სპექტრის აშლილობა, პრაგმატული ენა

Abstract

The language used in accordance with the social context is called pragmatic language. Pragmatic language has an important impact on everyday life as it creates the basis for relationships, it makes people consider other individual's opinion and conveys some specific skills determined in pragmatic area. Accordingly, it is urgent for people who have pragmatic language deficit to identify the problem in time and work on the development of this special skill.

The present research describes pragmatic language development in children with Autism. It compares the development of the pragmatic language between individuals with High-Functioning Autism and typical development. The survey was conducted on the basis of the Orion's pragmatic language questionnaire. The focus group of research consisted of twenty people. (10 children of typical development and 10 _ with HFA)

The results of processing data showed meaningful differences among 6 areas out of 7 pragmatic language development fields. The research stands on the survey conducted within small population, thus we cannot make a generalization of the results in a large-scale population. However, the outcomes of the research provided us with interesting and important conclusions.

Key words: Autism, Pragmatic language